№ 185 4 ბიორგობისთვე, პარასკევი 1866—1877 4 ბიორგობისთვე, პარასკევი № 185

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. Бараше მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

უოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, ხომხურს და სხვ. ენებზე.
ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—4 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციფროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ორი თვის ხელის-მოწერა „დროებაზე"

1 ნოემბრიდამ ამ 1877 დამლევამდე

მიიღება თფილისში, „დროების" რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებ ში „დროების" აგენტებთან.

ფასი ორი თვის გაზეთისა—2 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

ცალკე ნომრები „დროებისა"

თფილისს გარდა შემდეგ ქალაქებში ისყიდება.

ბორში—რკინის გზის სტანციის ბუფეტში.

ქუთაისში:—ბიორგი წერეთელთან
როტენბერგის ტიპოგრაფიაში, „ცოლხიდის" სასტუმროს პირ-და-პირ.

ბეჟათუბანში—სტანციის ბუფეტში,
ხაშურში (მიხაილოვში)—სტანციის ბუფეტში,
ახალციხეს—უფ. ალ. ფარეელოვის მაღაზიაში.

ტელეგრამები

პარიჟი, 1 ნოემბერს. მარცხენა მხრის წინადადება იმის შესახებ, რომ კრებამ ცალკე კომისია დანიშნოს კენჭის-ყრის თაობაზე, ძალიან მკაცრი სიტყვებით არის შედგენილი. ამის გამო რესპუბლიკის პრეზიდენტმა მარშალ მაკ-მაჰონმა გამოაცხადა, რომ ის თანახმა არ არის ძველ სამინისტროს გამოცვლაზედ.

ლონდონი, 1 ნოემბერს. ბლადსტონმა წარმოსთქვა პოლიტიკური სიტყვა, რომელშიაც გამოაცხადა, რომ ინგლისის მმართებლობამ პასუხი უნდა აგოს ახლანდელს ომის აღძვრაშიო; იმის ჰაზრით, ინგლისმა არავითარს შეეთხვევაში არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ახლანდელს ომში.

რაგუზა, 1 ნოემბერს. ჩერნოგორიელებმა აიღეს სიმაგრე ანტიკვარის პირდა-პირ; გარნიზონი ტყვედ აიყვანეს და იმათ დარჩათ აგრეთვე ორი ზარბაზანი.

ომის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

ვენის გაზეთს „Presse"-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 25 ღვინობისთვეს თფილისიდამ მიღებული:

„ოლთისიდამ არზრუმს მიმავალი რუსის ატრიადი შეხვდა არზრუმსა და ბათუმს შუა ექვს ბატალიონს ოსმალოს ჯარს, დაამარცხა ის და უკანვე დააბრუნა ბათუმისაკენ."

არ ვიცით—როგორ უნდა გავიგოთ, ამ ცნობის შემდეგ, ის ოფიციალური დეპეშა, რომელიც ამ დღეებში მოვიდა აქ ქობულეთის ატრიადიდამ და რომელშიაც იწერებოდნენ, რომ მუხა-ფეტატედამ ატეხილმა სროლამ დაგვარწმუნაო, რომ ბათუმის მხრიდამ ოსმალებს თავიანთი ჯარები და არტილერია არ შეუმცირებიათო.

—

არზრუმიდამეე 25 ღვინობისთვეს ლონდონის გაზეთს „Daily Telegraph"-ში იწერებიან:

„მუხთარ-ფაშას განზრახვა აქვს, რომ რაც ჯარები ჰყავს, ყველა არზრუმში მოაგროვოს და აქ დაუხვდეს მტერს. მაგრამ არზრუმის მცხოვრებლები ძალიან უკმაყოფილოდ არიან ამაზე; ისინი აცხადებენ, რომ, თუ რუსები მოადგნენ არზრუმს, ყუმბარებით გააფუჭებენ ქალაქსაო.

„მაგრამ, რადგან გადაწყვეტილია, რომ არზრუმში უნდა დაუხვდნენ ოსმალები მტერს, ამის გამო მომეტებული ნაწილი მცხოვრებლებისა ბაიბურთისაკენ მირბიან."

—

ზემოხსენებულსავე გაზეთში მოყვანილია შემდეგი დეპეშა 20 ოქტომბერს ყარსიდამ მიღებული:

„ოლთისში დაყენებულ რუსის ატრიადს ახალი ჯარები მიუმატეს კიდევ რიონის ატრიადიდამ; ამ ატრიადის დანიშნულება ის არის, რომ ჩრდილოეთის მხრით მიადგეს არზრუმს.

„ყარსს დაუწყეს რუსებმა ზარბაზნების სროლა. მაგრამ აქ იმდენი ჯარები არა ჰყავთ რუსებს, რომ ყოველის მხრით შეეძლოსთ ამ ქალაქს გარს-შემოერტყან და გზები შეუკრან. ოსმალებს ჰყავთ ყარსში სულ თხუთმეტი ბატალიონი—10—12 ათას კაცამდინ. ამბობენ, რომ არზრუმს უფრო მალე და ადვილათაც აიღებენ რუსები, ვიდრემ ყარსსაო."

—

სტამბოლში გამოუციათ შემდეგი დეპეშა 21 ღვინობისთვეს არზრუმიდამ მიღებული ყაზი-მაჰომა შამილისაგან:

„თუმცა რუსის ჯარი მოულოდნელად დაეცნენ ჰასსან-ყალეში დაბანაკებულ ჩვენ ჯარს, მაგრამ მე, მუსა-ფაშა ყუნდუხოვმა და ბევრმა აფიცერმა მოვასწარით რუსებისაგან გაქცევა. რუსებმა რამდენიმე კაცი სალდათები წაიყვანეს ტყვედ და, როგორც შევიტყე, ბევრი ჯარი მოუყვანიათ ახლა ჰასსან-ყალეში."

—

გაზეთის „Daily Telegraph"-ის კორრესპონდენტი, რომელიც ღენ. ბეიმანის ატრიადმა დაატუსაღა დევე-ბოინთან ბრძოლის დროს და რომელიც, ოთხი საათის შემდეგ, ისევ გაათავისუფლეს, იწერება არზრუმიდამ:

„ოსმალები ამბობდნენ, რომ რუსების ჯარში ბევრი პრუსიელი აფიცრები ურევიაო; მე არ მჯეროდა ეს; მაგრამ ჩემ ტყვეობის დროს დავრწმუნდი, რომ მართალი ყოფილა: მე ვნახე ღენ. ბეიმანის ატრიადში ერთი აფიცერი, რომელსაც წითელი პრუსიელი მუნდირი ეცვა და რომელიც სამხედრო საქმეებში ერეოდა."

—

როგორც „მოსკოვის უწყებებში" დაბეჭდილი დეპეშა გვაცნობებს, ოსმალეთის მთავრობის განკარგულებით, ტრაპიზონიდამ გამოუსტუმრებიათ ყველა იქ მცხოვრები რუსის ქვეშევრდომები. სულ 138 რუსი გამოუგზავნიათ იქიდამ, რომელნიც ჩვენ მთავრობას დროებით შეკვეთილში დაუბინევებია.

—

გაზეთის „Politische Correspondenz"-ის კორრესპონდენტი იწერება ბერლინიდამ:

„რუსები დარწმუნებულნი არიან, რომ ახლა, მუხთარ-ფაშის დამარცხების შემდეგ, რამდენიმე კვირის განმავლობაში

აიღებენ არზრუმს, ყარსსა და ბათუმს. ი-ინი ამბობენ, რომ როცა ამ ქალაქებს აიღებთ, მაშინ რუსეთს ადვილად შეუძლიან ომის ხარჯში გამოვიდესო; თუ რიგიანი კონტრიბუციის გადახდა ვერ მოახერხა, მაშინ რუსეთი მცირე აზიის იმ ნაწილს დაიპყრობს, რომელიც უფრო საჭიროა და გამოსადეგი იმისთვისაო.

„შემდეგ დარჩება მხოლოთ ოსმალოს ქვეშევრდომ სლავიანების საქმე; და ამ შემთხვევაში რუსეთი მხოლოთ იმას ეცდება, რომ პოლიტიკურისა და ეკონომიურის მხრით გააუკეთესებინოს ოსმალეთმა ბოსნიის, ჰერცოგოვინისა და განსაკუთრებით ბოლგარიის მდგომარეობა.“

ევროპის ბრძოლის ველიდამ

სოფიიდამ პლევნოში მომავალ გზის შეკვრასა და რუსებისგან ბორნი-დუბნიკთან შევქეთ-ფაშის დამარცხებას ასე აგვიწერს ლონდონის გაზეთის „Times“-ის ზიმნიცელი კორრესპონდენტი:

„8,000 კაცით წავიდა შევქეთ-ფაშა ორხანიედამ ბორნი-დუბნიაკში იმ განზრახვით, რომ ეს ალაგი ისევ წაართვას ღენ. ბურკოს და მით პლევნოს გზა გახსნას. როგორც ეტყობა, შევქეთ-ფაშას სრულიად არ სცოდნია რუსების ძალა, იმათი ჯარების რიცხვი.

„რადომირცეში ოსმალებმა განდევნეს რუსის ცხენოსანი ჯარი; შემდეგ შავქეთ-ფაშა პირ-და-პირ ბორნი - დუბნიაკს მიადგა, და მხოლოთ მაშინ დარწმუნდა—თუ რა დიდძალ ჯართან მოელოდა იმის ბრძოლა. მაგრამ უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა. ის გამაგრდა სოფ. ასაჯისთან და უცდიდა მტერს.

„ღენ. ბურკო ჯერ 12,000 კაცით მოადგა იმას და ყოველის მხრით გარშემოარტყა ჯარები. ბაცხარებული ბრძოლა შეიქნა; ორჯერ დაამრუნეს იერიშით მისული რუსები, ოსმალოები თავგანწირულებით იბრძოდნენ. ბოლოს ბურკომ მოიხმო კიდევ გვარდიის ბრიგადა. ახლა კიდევ უფრო გაცხარდა ბრძოლა. მხნეობამ ვერ უშველა ოსმალებს, იმათ ორჯერ უფრო მომეტებული მტერი უდგათ წინ, ვინამ თვითონ იყვნენ. „დაემორჩილენ მტერს, დაჭყარეს თოფიარაღი; მხოლოთ ორი-სამი ათასი კაცი გაიქცა, დანარჩენი ყველა ტყვეთ აიყვანეს რუსებმა.

„მაგრამ არც რუსებს დაუჯდათ იაფად ეს გამარჯვება: როგორც სარწმუნო კაცებმა დამარწმუნეს, რუსების მხრით ამ ბრძოლაში 3,600 კაცია სულ მოკლულ-დაჭრილი.“

—

„ქელნის ბაზეთში“ მოყვანილია შემდეგი ბუხარესტიდამ 25 ღვინობისთვეს მიღებული დეპეშა:

„სულეიმან-ფაშამ ყველა თავის ჯარები რაზგრადთან მოაგროვა. რუსჩუკში ოსმალებს 20,000 კაცი ჰყავთ, ოსმან-ბაზარში—16,000, სილისტრიაში—15,000.

„თვითონ სულეიმან-ფაშის მთავარი არმია, როგორც ნამდვილად ამბობენ, 85,000 კაცისაგან შესდგებაო; ეს ქვეითა ჯარი; ამას გარდა 10,000 კაციც ცხენოსანი ჰყავს—ჩერქეზები და ბაშიბუზუყები. მთავარი კვარტირა სულეიმან-ფაშისა ამ ჟამად რაბაკულაკში იმყოფება.“

—

სტამბოლელი კორრესპონდენტი გაზეთის „Times“-ისა იწერება:

„აქ დარწმუნებით ამბობენ, რომ შევქეთ-ფაშამ იმდენი სურსათი და საომარი მასალები შეუკზავნა ღვინობისთვის 2-ს ოსმან-ფაშის არმიას პლევნოში, რომ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში მაინც ეყოფაო. მაშა სადამე ნოემბრის დამლევამდინ პლევნოს სრულებით არავითარი შიში არა აქვსო.“

—

„Daily News“-ში იწერებიან ბორნი სტუდენიდამ, რომ, თუ ღენ. ბურკომ თავის კორპუსით სოფიისაკენ საჩქაროთ გასწია, იმას იქითკენ არავითარი დაბრკოლება არ ექნება, რადგან ოსმალოებს იქ თითქმის სრულებით არა ჰყავთ ჯარებიო.

ამის მთქმელს ის უბრალო გარემოება ავიწყდება, რომ თუ ღენ. ბურკომ თავის კორპუსი სოფიისა და ადრიანოპოლისაკენ გასწია, მაშინ პლევნოს გზა სრულებით თავისუფალი, გახსნილი დარჩება და ამ ნაირად პლევნოს დამორჩილება რუს-რუმინების ჯარებს აღარ შეეძლებათ.

—

ბაზეთის „Голосъ“-ის კორრესპონდენტი ასე აგვიწერს შიპკოსთან დაბანაკებულ რუსის ჯარის მდგომარეობას:

„ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი ჯარი აქ ბატონურად ცხოვრებდეს და ყველაფერი უნაკლულოთ ჰქონდეს: ჩვენი შინელები რომ ნახოთ, ცხრილი მოგგონდებათ; პერანგები მთელი თვეობით არ გამოგვიცვლია; ორი-სამი კვირის განმავლობაში იქნება ერთხელ ვეღირსოთ ეტანთსაცმელის გახდას და ისე დაწოლას კვირა, თვე ისე მიდის, რომ პირს არ ვიბანთ; გამურულები ვართ; წვერები დაგვეზარდა ისეთნაირად, რომ ერთი შეხედვით ტყის კაცებსა ვგვევართ. ძალიან დაგიმადლებთ, რომ, ფულის მაგიერად, ცოტა საპონს გამოგვიგზავნიდეთ.“

—

ბიზეთის „Daily Telegraph“-ის კორრესპონდენტი შემდეგ სცენას აგვიწერს:

„14 ღვინობისთვეს, საღამოს, პლევნოში, მე და ოსმან-ფაშას გვედგა სკამები იმის კარვის წინ და რაღაცაზედ ვლაპარაკობდით. უეცრად ჩვენ დავინახეთ, რომ ბრიეიცისაკენ თეთრი კომლი გამოჩნდა; ცოტა ხანს შემდეგ, მოგვესმა ზარბაზნის ხმა და ყუმბარის ზუილი; ყუმბარა გადასცილდა ოსმან-ფაშის მწვანე კარავს და ორმოც ნაბიჯზე დავარდა და გასქდა.

„ერთი მინუტის შემდეგ—სულ ამისთანავე კომლი დავინახეთ იქიდამვე; ყუმბარები ზედ ჩვენ წინ, კარავთან, გასქდა და მიწა ცხვირ-პირში მოგვაყარა. შემდეგ კიდევ ხუთი ყუმბარი გამოვარდა და ისიც რამდენიმე ნაბიჯზე გასქდა.

„—მგონი, ურიგო არ იქნება აქიდამ წავიდეთო, მითხრა დამშვიდებულის ხმით ოსმან-ფაშამ, აუჩქარებლივ ადგა და მეც თან გავყევი.“

„შეიძველია, რომ ვიღაცა მოღალატემ მიუთითა რუსებს ოსმან-ფაშის კარავი და ისინიც პირ-და-პირ იმას უშენდნენ.“

საქართველო

სიძვირე

ამ ომიანობის წყალობით, ყველაფერი თითქმის ერთი-ორად გაძვირდა ჩვენს ქალაქში. აღრინდელი ომების მომსწრე კაცებისაგან გავიგონეთ, რომ სიძვირე მაშინაც, უწინდელ ომების დროსაც ყოფილაო; მაგრამ ამისთანა სიძვირეს არასოდეს არ მოესწრებივართო.

ყველაზე უფრო ეს სიძვირე, რასაკვირველია, თფილისის ღირიბ, მუშა ხალხს დაეტყო; დაეტყო ამიტომ რომ გაძვირდა ყველაფერი ის, როგორც მაგალითად, საჭმელ-სასმელი, ტანთ-საცმელი და სადგომები, რომელიც ადამიანის ცხოვრებისათვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს.

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ამ მუშა-ხალხს ამ ჟამად, ცხოვრების სიძვირის წყალობით, დიდი ვალი დაედო და ეს ვალი მუდამ მატულობსო. ვალი დასდებიათ იმ აღებისა, იმ პირებისა, რომელთანაც ეს ხალხი მუშაობს, რომელთაგანაც ისინი დამოკიდებულნი არიან.

რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენი ფულიანი ხალხი კარგათ ისარგებლებდა ამისთანა მდგომარეობით....

ერთი გარემოება მეტად გვაკვირვებს ჩვენ ამ შემთხვევაში: იმ დროს, როდესაც ყველაფერს ასე მოემატა ფასი, როდესაც ყოველი ცხოვრებისათვის აუცილებელად საჭირო საგანი ასე ერთი-ორად გაძვირდა, მუშა ხალხის შრომის ფასი, დღიური ქირა კი არ მატულობს ჩვენს ქალაქში.

ყოველ-გვარ მუშას ახლაც იმ ფასად იშოვით, დაიქირავებთ ქალაქში, რა ფასსაც ამ ოთხი-ხუთი თვის წინათ აძლევდით.

ეს გარემოება გვაკვირვებს-მეთქი, იმიტომა ვსთქვი, რომ ეს მოწინააღმდეგე იმ პოლიტიკურ ეკონომიის უპირველესს სწავლას, რომელიც ამტკიცებს, რომ

დღიური ქირა შეშა ხალხის აუცილებელ საჭიროებაზედ არის მკვიდრად დამოკიდებულია. თუ ცხოვრება, აუცილებელ საჭიროებათა დაკმაყოფილება იაფათ ღირს, მაშინ მუშის დღიური ქირაც იაფდებაო და თუ ძვირად—დღიური ქირაც, ამის-და-გვარად, მატულობსო.

ეს კანონი ამ ჟამად ჩვენი ქალაქის მუშა ხალხისათვის, როგორც ზევით მოგახსენეთ, არ მმართლდება: ყოველი ცხოვრებისათვის აუცილებელად საჭიროსაგანი გაძვირებულია და ამ საჭიროებათა დამაკმაყოფილებელი ფასი კი არ მატულობს.

მაგრამ, როგორც ეტყობა, ჩვენი ცხოვრება ისეთნაირად არის გამართული, რომ ჩვენთვის საზოგადოთ არავითარი კანონები ხალხის ცხოვრების მეცნიერებისა არ არსებობენ....

მომავალ ორშაბათს ჩვენი ქალაქის რჩევაში იქნება ამ საგანზე მოლაპარაკება. ვნახოთ, რას იტყვიან ქალაქისაგან ამორჩეულნი და დანდობილნი პირნი; ვნახოთ, რა საშუალებას, რა ღონისძიებას იხმარებენ ისინი ამ სიძვირისაგან ხალხის ცხოვრების შემსუბუქებისათვის.

ამისთანა ყურადღების ღირსი საქმე ამ ჟამად ჩვენს ქალაქის ბამგეობას არა აქვს; ქალაქის ქუჩების გაზით განათებაც მოიცდის, თუ ამდენი ხანი მოგვითმენია თულუხჩის წყლის სმა, ახლაც მოვითმენთ; მაგრამ კუჭი და საზოგადოთ ეს ცოდვილი სხეული ადამიანისა ვერ მოითმენს: ის საჭმელს, სასმელსა და საცმელს მუდამ დღე თხოულობს...

ს. მ.

დღიური

*** ბუშინწინ თფილისის სასამართლო პალატამ განიხილა მეორე საქმე „თფილისის მოამბის“ რედაქტორის უ. კ. ბებუთოვისა. როგორც მოგეხსენებათ, ეს მეორე საჩივარი თფ. ქლასიკურ გიმნაზიის მასწავლებლის უფ. სტადლინისაგან იყო შეტანილი, რომელიც ცილის-წამებას უჩივოდა ამ გაზეთს, რომ ვითომც მე ერთი შაგირდი გამელახოს გიმნაზიაშიო.

თუმცა მომეტებულ ნაწილ მოწმეებმა აჩვენეს, რომ უფ. სტადლინს არ უცემია შაგირდისათვის, არამედ მარტო ხელი მოჰკიდა და ისე ძალათ დასვა ადგილზედაო; მაგრამ სასამართლომ მაინც საჭიროდ დაინახა, რომ ბრალდებული რედაქტორი გაემართლებინა. და გაამართლა იმ სენატის ჩინებული გადაწყვეტილების ძალით, რომლითაც ამ გვარ შემთხვევაში მწერალი არ დაისჯება, თუ კი იმან ერთი ნაწილი მაინც თავის სიტყვებისა დაამტკიცა სასამართლოში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ორი გადაწყვეტილება, ეს ორჯერ გამართლება „თფ. მოამბის“ რედაქტორისა ჩვეულის ხალხს დაუკარგავს იმ პირთ, რომელნიც სასამართლოს გზით მოინდომებენ ხოლმე რედაქტორების ჯავრის ამოყრას, როცა გაზეთში რაიმე იმათთვის არა-საამო იქნება დაბეჭდილი.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ იმ წრეს, რომელიც ამ ორი წლის წინათ დაარსდა თფილისში, საუკეთესო ჩვენი მწერლების თხზულებითა გამოსაცემად და რომელმანც უკვე დაბეჭდა თ. ნ. ბარათაშვილის და ზ. ანტონოვის თხზულებანი და აგრეთვე ნათარგნი დრამმა „მეფე ლირი“ და „ანდაზები“, ამ წრეს გადასუწყვეტია, რომ ამ მოკლე ხანში გამოცეს თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები.

წერილი რედაქტორთან

უფალო რედაქტორო!

ამ გასულ თვის ათს, 'მე შემემთხვა წასვლა თფილისიდამ ქვემო და ზემო-ნიჩბისსა, რომელიც, თუ მოგეხსენებათ, მდებარეობს ქალაქის სიშორით ორმოცი ვერსით.

ჩემს იქ მყოფნობის დროს, სხვათა შორის, მე შევიტყე, რომ იქაური ხალხი საზოგადოთ მღვდელს არ ემადლიერება. მე ვკითხე ხალხს—თუ რაში ემდურით-მეთქი თქვენს მღვდელს და ვინ არის ეს თქვენი მღვდელი-მეთქი?

— მღვდელი, შენი ჭირიმე, მამა ბარნაბოვი გახლამსთ!

— რას გიშვრებათ, რომ იძახით, თუ გვაწუხებსო.

— როგორ რასა, შენი ჭირიმე: მიცვალებულებს თუმან ნაკლებ არ გვიმარხავს და ხუთმეტ მანეთ ნაკლებ ჯვარსაც არავისა სწერს. რამტენ სოფლის გლეხი კაცის შვილებს მოუცდათ ეხლა ქორწილი და რამდენი სამზადისი წაუხდათ, რადგანაც ხუთმეტი მანეთის მანეთის შეძლება არავისა აქვს, რომ მისცესო და ისიც ნაკლებ არავის სწერს ჯვარსა! ამითი ბევრს კაცს ეჭრება ყელი; და ერთი შემწე არავინა გვყავს, რომ წავიდეს მასთან და შეეხვეწოს და სთხოვოს, რომ ცოტა შეღავათება მოგვცესო და გთხოვეთ შენ, შენი ჭირიმე, რომ წახვიდეთ და სთხოვოთო, რომ ცოტათი შეიბრალოს ხოლმე ჩვენი გლეხი ხალხი.

მე, რასაკვირველია, უარი უთხარი, რადგანაც, სხვათა შორის, ცნობა არა მქონდა მღვდელთანა და უპასუხე: რა ვქნა, ძმებო, მე თქვენ მღვდელთან ცნობა არა მაქვს და წურას უკაცრავათ-მეთქი, თორემ არ დაგზარდებოდით-მეთქი; მაგრამ ეხლა ქალაქში დაბრუნდები და ვეცდები, რომ თქვენი თხოვნა-გაზეთში „დროებაში“ დავაბეჭდინო და იქნება მაშინ რამე შემსუბუქება მიგეცესთ ამ მღვდელისაგან-მეთქი.

ამ ჩემ დაპირების ასასრულებელად გიგზავნით, უფალო რედაქტორო, ამ წერილს და იმედი მაქვს, რომ თქვენს დიდს პატივცემულს გაზეთში ცოტა ალაგს დაუთმობთ იმას და დაბეჭდამთ.

ზ. მ—ი

„დროების“ კორრესპონდენცია

თელავი, 27 ოქტომბერს. თელავიდგან ექვს ვერსზედ მდებარებს ერთი სოფელი, რომელშიაც სცხოვრებენ ქართველები და თათრებიც; ამის გამო ამ ორივე სარწმუნოების ხალხს დაუძახნია სოფლისათვის სხვა-და-სხვა სახელი: ქართველები საზოგადოთ ეძახიან ახატელს, თათრებმა კი გაჰყვეს ეს ადგილი ორ ნაწილათ: ერთს ჰქვია ყარაჯალა და მეორეს ქაპანახჩი.

ყველამ ეცით, რომ საზოგადოთ ჩვენი თათრები არიან დახელოვნებულები ქურდობაში, ხალხის ცარცვაში, ცეცხლის მოკიდებაში და ამ გვარს სხვა ავ ზაკობაში. ყარაჯალისა და ქაპანახჩის თათრებიც ეგრეთვე იყვნენ დაწინაურებული ამისთანა ბოროტ-მოქმედებაში 1872 წლამდის, ესე იგი იმ დროამდის, მინამ მთავრობამ არ დაუწესა ამ სოფლებს განსაკუთრებითი პრისტავი. უ. ბ. ფ—რი.

ამ ცალკე პრისტავის განწესებამდის თითქმის ყოველ დღე და ღამე თითო-ორ-ოლი ავაზაკური მოქმედება თათრებში აუცილებელი იყო. ეს გარემოება მტკიცდება იქიდგან, რომ ორის წლის განმავალობაში თელავის განყოფილების გამომძიებელს ჰქონდა 700-მდის საქმე წარმოებაში და ყოველთვის ბრალდებულათ ჩნდებოდნენ ყარაჯალისა და ქაპანახჩის თათრები. მაგრამ უ. ფ—რმა მოსელისა-თანავე მოიხმარა ისეთი გონიერება, ვაჟკაცური მხნეობა და მეცადინეობა, რომ იმ დღიდგან აქამომდე აღარაფერი უწესოება აღარ ისმის თათრების მხრით ასე, რომ წლეულ უმაღლესმა მთავრობამ აღარ დაინახა საჭიროდ ყარაჯალა-ქაპანახჩში ცალკე პრისტავი და უფ. ბ. ფ—რი განაწესა ყვარლის უჩასტკის პრისტავად.

ამ ხანებში, როგორც იცით, დიდი ელების აჯანყების გამო, მოხდა დიდი არეულობა თელავის უეზდში და მომეტებულად ყვარლის უჩასტკაში, რომელიც უფრო ახლოს არის მტრის მიჯ-

ნასთან. უ. ფ—რმა შეადგინა ადგილობრივის მცხოვრებლებისაგან დრუჟინები, დაუწესა მათ ასის-თავები და გაამაგრებინა ის გზები და ალაგები, საიდგანაც მოსალოდნელი იყო მტრის ჩამოსვლა; და რომ ეს ჯარის ხალხი ფხიზლათ ყოფილიყო თავის დანიშნულებაზედ, თავ-თავის დროს დაათვალიერებდა იმათ.

მაგრამ ნათქვამია: „სადაც მოკეთე ჰყვას კაცს, იქ მტერიც ეგულებოდესო!“ ეხლა ამ ფ—რს ისე მოსდის: ერთს ვილასაც დაუსმენია თელავის უეზდის უფროსის თანაშემწისათვის, რომ ვითომც იმას მიეღოს იმ ახალი ჯარის უფროსობა და ვითომც მისთვის ეძლეოდეს მას ჯამაგირი, რომლის გამოც უ. უ—რი ვითომც ველარ აღსრულებდეს თავის პირდა-პირს პრისტაობის თანამდებობის მოვალეობას. უფალს დროზდოვს შეურაცხავს ეს ცილის-წამება სიმართლეთ და, როგორც ისმის, სამსახურიდგან დათხოვნას უპირებს.

ყოველი საზოგადოების წევრის ვალია, ეცადოს, რომ მართალი კაცი ტყუილ-უბრალოთ არ დაიჩაგროს, და მხოლოთ ამ ზნეობითი კანონის ძალით ვთხოვთ უფ. დროზდოვს—ნამდვილად გამოიძიეს ეს გარემოება და მხოლოთ მაშინ დაისაჯოს უფ. ბ. ფ—რი, როცა ნამდვილად დამტკიცდება იმის ბოროტ-მოქმედება.

ამასაც კი ვიტყვით, რომ ბ. ფ—რის სამსახურის სარგებლობას გვიმტკიცებს ის გარემოებაც, რომ მისის ყარაჯალა-კაპანახჩის გადაყვანის დღიდგან, ამ სოფლებში უწინდელურად გახშირდა ავაზაკობა.

ა. შ—ვი

განცხადებანი

თფილისის ქალაქის მზრუნველობა გაჰივრებულ ოჯახების დასახმარებლად

საზოგადო კრება მზრუნველობისა დანიშნულია 6 ნოემბრისათვის, შუადღეზე, ქალაქის რჩევის ზალაში.

საზოგადოება შემდეგ საგნებზე მოიალაპარაკებს: 1) პირველ საზოგადო კრების პროტოკოლი, 2) მოხსენება საზოგადოების გამგეობისა მზრუნველობის მოქმედების წესზედ დაწყობილებაზედ.

(3—3)

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის **კუდრი** (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკერება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამოგზავნი

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შეესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ეს ეს ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—153

ბანოვის ქუჩაზე, ივანოვ მირზოევის სახლებში გავალე **ახალი მოდის მაღაზია.** ვკერავ ქალის კაბებს, ტალმებს და შუბკებს, აგრეთვე ახალი მოდის დასახურავებსა და ჩასაცმელებს და საზოგადოთ ქალის ყოველ გვარ ტანისამოსს **ხელ-ფასს ვიღებ სინიდისიანათ.**

გაბრიელ თოდოლმახოვი

მასწავლებელს ქალს ჰსურს აიყვანოს ყმაწვილები მოსამზადებელად პირველის და მეორის კლასისათვის.

ადრესი: მთაწმინდის ქუჩა, **საბინ-ზუსიის** სახლებში, **№ 13.**

მიეცემა

სასესხებელი ფული

იმ პირობით **რომ** მოვალემ **მუდამ კვირას ანუ თვეში** გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად. **უფრო** დაწვრილებული პირობების **შეტყობა ბულაკოვსკისთან, ვორონცოვის ხიდზე, ზუბალოვის** სახლებში, **ვარშავის** ფეხსაცმლის **მაღაზიაში, მუდამ** დღე **დილის 9** საათიდამ **ნაშუადღევის** პირველ **საათამდინ.**

გლოვა

ირაკლი მეოდრისა

თქმული სოლომონ **მსაჯულისაგან**

ბამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან

ისყიდება ვართანოვი წიგნის მაღაზიაში,

ფასი ერთი შაური

ქუთაისში მიიღებენ უმაწვილებს საშუალ სასწავლებლების **მესამე** კლასამდინ **მოსამზადებელად.**

მსურველს შეუძლიან **იკითხოს „კოლხიდის“ სასტუმროში** ამ **ადამ დიუპონი.**

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი	9	21	5	18				
მცხეთა	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი	1	44			4	42	2	46
ყვირილა	5	49			5	81	3	23
რიონი	6	47			6	75	3	75
სამტრედია	7	41			[illegible]	73	4	29
ახ.-სენაკი	—	—			8	57	4	76
ფოთი	9	40			9	75	5	42
ფოთი	9	13						
ახ.-სენაკი	—	—			1	18	-	66
სამტრედია	11	16			2	6	1	14
რიონი	12	13			3	4	1	69
ყვირილა	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამხეთარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქუთაისს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ
და სამზღვარ გარეთ:	
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 2 გიორ.		
ერთი ანეული ღირს:		
ლონდონში 23 პენსი.	—	78
პარიჟში 245 სანტიმი.	—	62
ესკონტი (სარგებლისფასი)	7½	
ბანკის ბილეთი 5%	95	[illegible]
მოგებიანი (პირველის ხ.)	14	[illegible]
მოგებიანი (მეორე სესხი)	2-7	[illegible]
[illegible]		
[illegible]		
[illegible]		
ხერსონის ბანკის [illegible])	85	25
ოსკოვის ([illegible])	85	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შაკი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
ყაზანის და მოსკოვის	225	—
პირვ. საზღვევ. საზ.	745	50
პეტერბ. საზღვევ. [illegible]	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	-

მაზანდა

	ფან.	კაპ
თფილისი, 3 გიორგობ.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	90
ფქვილი წითელი	1	45
ქერი ფუთი	1	25
ბამბა ერევნისა, ფუთი	8	20
— ამერიკისა, ფუთი	8	50
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	9	50
მატული თუშური ფუ.	7	—
—თარაქამისა ფუ.	3	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	3	—
ძოლი, ფუთი	5	80
ძონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	54
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	54
—ცხვრისა, ლიტრა	—	63
სპირტი, გრადუსი	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი	8	20
— ფხვნილი ფუთი	7	20
ულაფ გოგვალი, ფუთი	26	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	12	—
ოქროს ½ იმპერიალი	8	38

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Ноября 1877 г. Типографія Меликова. ბამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.